რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილოსზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასო მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია ასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. უკუ-უბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.



**გბ. მუშტართ ჩვენი ფირმის ჩაისა**

უმორჩილესად ვსთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბანდეროლებზე.

ასოთ ძ ძ ს (20—5)

ძმანი ძ. და ს. პაპოვები'

სავაჭრო სახლი მოსკოვში.


## ტელეგრამმები

(„კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**თუნისი**, 30 ენკენისთვეს. 28 ენკენისთვეს ინსურგენტები იერიშით მივიდნენ ალი-ბეის ჯარზე, მაგრამ იმუღებული შეიქნენ უკანვე დაეხიათ და დაეტოვებათ დიდი საშოვარი; ორთავე მხრით დიდი ზარალია.

**ლონდონი**, 30 ენკენისთ. ირლანდიის პატრიოტი პარნელი დაატუსადეს კემბრიჯში.

**ხარკოვი**, 2 ღვინობისთვეს. გაიხსნა პოკროვის იარმარკა.

**სპეტერბურღი**, 2 ღვინობისთვეს. „მმართებლობის მოამბე“ იწერება: ხელმწიფე ოჯახობით გარდავიდა საცხოვრებლათ გატჩინოში. გაზ. „ახალ დროებას“ გაუგონია, რომ სახელმწიფო რჩევაში გლეხებისაგან მამულების შესყიდვის თაობაზედ მოწვეული არიან ექსპერტები: შჩერბატოვი, სამარინი, ნაუმოვი, გალაგანი, გორჩაკოვი და დმიტრიევი.

მალე განირჩევა ღენ. მროვინსკის საქმე, დამცველად იქნება სპასოვიჩი.

„პეტერბურღის უწყებებში“ სწერია: 1 ღვინობისთვეს ქ. იზმაილში იდღესასწაულეს განთავისუფლება მველი რჯულის მწერთ არქიერთა; მჯადდება მადლობითი ადრესი.

ორივე გემი სიბირიაკოვისა—დიკსონი და ნორდლანდი დაიღუპა ყინულებში; ხალხი კი ხმელეთით ჩამოვიდა ობროდსკში.

**პეტერბურღის ბირჟა**, 2 ოკტომბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 95— | 25 |
| მეორესი— — — — | 93— | „ |
| მესამესი — — — — | 93— | $75^1/_2$ |
| მეოთხესი — — — | 92— | $50^1/_2$ |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 90— | $75^1/_2$ |
| აღმოსავლეთის მეორე | 90— | $75^1/_2$ |
| აღმოსავლეთის მესამე | 90— | 75 |
| ოქრო, $^1/_2$ იმპერიალი | 7— | 64 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 224— | „ |
| მეორე სესხის — — | 218— | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 26— „ | პენსი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |
| ჰამბურღი — | 221—50 | ცენტი |
| პარიჟი — — | 273—75 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — | — | |

## ქართველები საქართველოში.

თბილისი, 3 ოკტომბერს.

უცხო კაცს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოდის და ჩვენს ცხოვრებას ცნობილობს, ერთი რამ აკვირვებს, ერთი რამ ვერ გაუგია: ის, რომ ამ მდიდარ ქვეყნის მკვიდრათ მცხოვრებლები—ქართველები—ასე ღარიბად ცხოვრებენო, ასე უკან ჩამორჩომილი არიანო და უცხო ტომის ხალხნი, რომელნიც ვინ იცის—საიდამ გადმოხვეწილან საქართველოში, ესენი კი გაკეთებულან, ამათ უსარგებლნიათ ამ მშვენიერ ქვეყნის სიმდიდრითა, სიუხვითაო.

ეს გარემოება განსაკუთრებით ეცემა კაცს თვალში Tფილისში, ახალციხეში, სიღნაღში, თელავში და ზოგიერთ დიდ სოფლებშიაც, სადაც მკვიდრი მცხოვრებლები თითქმის სრულიად არა სჩანან, სადაც აზრუმიდამ და ტრაპიზონიდამ ამ 15-20 წლის წინათ გადმოსახლებულ ხალხს ჩაუგდიათ ხელში ყველაფერი, სადაც უძრავი და მოძრავი ქონება ამათ ეკუთვნის, ქალაქებს ესენი განაგებენ, სკოლები ამათა აქვთ, განათლებულ და დაწინაურებულ საზოგადოებათაც ესენი ითვლებიან და სხვ. და სხვ.

რისგან წარმოსდგა ამ გვარი მოვლენა? ზანა ამ მოსულ ხალხზე უფრო ნაკლები ნიჭი გვაქვს ჩვენ, რომ ჩვენი ბუნებით სიმდიდრით ვერ ვისარგებლეთ? ამათზე უფრო ნაკლებად მოხერხებულები ვართ? ამათზე უფრო ნაკლებად ვიცნობთ ჩვენს ქვეყანას, თუ რა არის ამის მიზეზი?

არც ერთი, არც მეორე და არც მესამე. ღვთით ზანგებას არ დაუკლია ქართველისათვის არც ბუნებითი ნიჭი, არც მოხერხება და არც შრომისმოყვარეობა.

მაშ რა არის მიზეზიო,—მკითხავთ?

დიდი მოსაზრება და ღრმა ფილოსოფია არ არის საჭირო ამის გამოსაცნობად.

სხვა-და-სხვა ერების დედა-მიწის ზურგზე არევ-დარევისა და გარდასახლებ-გარდმოსახლების დროს ჩვენ ისეთი კუნჭული გვერგო ხმელეთისა, რომელიც „ქვეყნის თვალათ“ ითვლება, რომელიც ყველაფ'რით შემკობილი იყო ბუნებისაგან. მაგრამ ამასთანავე, საუბედუროდ, შორებელი და ახლობელი მეზობლებიც ისეთები აღმოგვესაფრნენ გარშემო, რომელთაც მუდამ ამ ჩვენის ქვეყნისაკენ ეჭირათ თვალი, რომელნიც ამ ქვეყნის დაჭერას და დამორჩილებას ჰფიქრობდნენ და ცდილობდნენ.

ამის გამო თავიდამვე, და განსაკუთრებით უკანასკნელ საუკუნოებში ჩვენს ქვეყანასა და ხალხს მოსვენება არ ღირსებია. მუდამ გარეგანი (და ხანდისხან, ჩვენდა სასირცხოდ, შინაგანი) მტერიც თავს გვესხმოდა, ხან ერთს მხარეს აიკლებდა საქართველოისას, ხან მეორეს, ხან მესამეს.

ამათ მოსაგერებლად ჩვენ მუდამ მზათ უნდა ვყოფილვიყავით, მუდამ ფარ-ხმალით ვიყავით შეიარაღებული,

«დროების» ფელტონი, 4 ოკტომბ.

## ნიკოლოზ ბარათაშვილი

(მასალა ბიოგრაფიისთვის)

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა Tბილისში 1816 წელსა 22 ნოემბერს.

მამა ნიკოლოოზ ბარათაშვილისა, თ. მელიტონ სცხოვრებდა სიყმაწვილიდგან Tბილისში. მელიტონ იყო ქართულს ენაზედ განათლებული კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედმიწევნით მცოდნე ქართულ ლიტერატურისა. იმის სახლში ნახავდით ძველს ჩვენს სწავლულ ქართველებს, იმათ შორის თითქმის ყოველ დღე მელიტონთან დაიარებოდა მღვდელი ეგნატე იოსელიანი (მამა ჩვენის მწერლის პლატონისა). ეგნატე იოსელიანმა ჩინებულათ იცოდა ქართული და სომხური ლიტერატურა, იყო ღრმათ მოხუცებული, გაზრდილი მეფის სასახლეში და მნახველი ჩვენის საქართველოს ცხოვრებისა წასრულს საუკუნეში, მეფის ირაკლიდგან მეფის გიორგის გარდაცვალებამდისინ.

მელიტონის სახლში ხშირად დადიოდნენ პოეტი (ღენ.-ლეიტ.) ალექსანდრე ჭავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ ფალავანდიშვილები, სოლომონ მეითარი Tარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინოვები (დისწულები მელიტონისა) და ბევრნი მაშინდელს დროის განათლებულნი ქართველნი. T. მელიტონ ბარათაშვილი რამდენჯერმე იყო გამორჩეული მარშლათ Tბილისის უეზდში.

დედა ნიკოლოოზ ბარათაშვილისა იყო ასული თ. ზურაბ*) ორბელიანისა—ეფემია, უფროსი და ჩვენის წარჩინებულის პოეტისა გრიგორ დიმიტრის-ძის ორბელიანისა. ეფემია იყო მშვენიერი ქალი და ქართულათ კარგად გაზრდილი. ნიკოლოზ ბარათაშვილს ჰყავდა ოთხი და, ამათში სამნი არიან ეხლაც ცოცხალნი*)

ნიკოლოზ ბარათაშვილის მამას უყვარდა კარგი ცხოვრება, სიუხვე და პურ-მარილიანობა; იმისი სადილები განთქმული იყო Tბილისში.

ამისთანა სახლში იზრდებოდა პატარა ნიკოლოზ, (რომელსაც უწოდებდენ აგრეთვე ტატო). ყმაწვილი ფხიზელი, ცნობის მოყვარე იყო და მიმღები ყოველივე კეთილის შთაბეჭდილებისა.

1827 წელსა სეკტემბერში ნიკოლოზ ბარათაშვილი მისცა მამამ Tბილისის საკეთილ-შობილო სასწავლებელში (რომელიც მერმე, 1830 წელს გიმნაზიათ გადააკეთეს). Tითონ ნ. ბარათაშვილისაგან გამიგონია, რომ შინ ქართული წერა-კითხვა პატარამ, რვა წლისამ, იცოდა.

ჩემი პირველი გაცნობა ნიკოლოოზისა იყო 1828 წელსა, როდესაც შევედი საკეთილშობილო სასწავლებელში, პირ-და-პირ მესამე კლასში, (რადგანაც გორში უეზდის სასწავლებელში გავათავე სწავლა). ნიკოლოოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგათ სწავლობდა, უმეტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისი მხიარულის ხასიათით, სიმარდით. პირველი მოტანცავე იყო, საკუთრად ლეკურისა. ყველასგან საყვარელი ამხანაგი.

მე წაველი რუსეთში 1831 წელს, პეტერბურღში, კურსი შევასრულე და არტილლერიის აფიცრათ მოვედი 1837 წელსა Tბილისში. ნიკოლოოზ ბარათაშვილი დამხვდა ახალს გიმნაზიაში კურს-შესრულებული (1835 წელსა) და მსახურებდა სტოლნაჩალნიკათ პალატაში (**палата уголовнаго и гражданскаго суда**). ძველი ჩვენი

---

*) თ. ზურაბ ორბელიანის სახელი ნათლობისა—დიმიტრი.

*) უფროსი და ნიკოლოზ ბარათაშვილისა რომელიც იყო მეუღლე რევაზ ქსნის ერისთვისა გარდაიცვალა, მეორე და მეუღლე პოლკოვნიკის დიმიტრი ვეზიროვისა მესამე—მეუღლე გასილ სუმბათოვისა და მეოთხე ავრივი ლეონი დ. ბარათაშვილისა.

მუდამ ომი, ბრძოლა, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ადგილ-მამულის, ცოლ-შვილის, ერთის სიტყვით ჩვენი არსებობის დაცვა გვახსოვდა. ვინც კი ნიჭიერი, მხნე, მამაცი, მოხერხებული იყო ჩვენს ერში, ყველა ბრძოლის ველზე გამოდიოდა, ყველას მტრის მოსაგერებლად უნდა მოეხმარა ეს თავის ნიჭიც, მხნეობაც და ოსტატობაც.

ამ გვარმა მდგომარეობამ გამოცვალა ჩვენი ერის ხასიათი. ყველა ომის კაცებად შევიქენით. ყველას თოფ-იარაღი გვეჭირა ხელში. ყველა ცხენზე ვიდექით და გადავყურებდით მტერს, როდის მოვა, როდის დაგვესხმის თავს და როდის დაგვჭირდება იმასთან შებმა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენში მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ამ მშვიდობიანმა ცხოვრებამ თავის მოთხოვნილება მოიტანა, თავის კანონები და ადათები.

და ციხეებში თოფ-იარაღში და ცხენზე გამოზდილი ერი ასე უეცრად ვერ მოთავსდა ამ ახალს გარემოებასთან, ასე მალე ვერ შეეჩვია ახალ ცხოვრებას და იმის მოთხოვნილებას. ჯერ კერძო პირიც ვერ გამოიცვლის ადვილად ერთხელვე შეთვისებულ ხასიათსა და ზნეს; ერის ცხოვრება და ხასიათები ხომ საუკუნოებით სდგება, საუკუნოებით მაგრდება და იმის გამოიცვლა, ძველის ზნის, ხასიათის, ჩვეულების დატოვება და ახლის მიღება იმისთვის ძნელია, ამას დრო უნდა და მარჯვე გარემოება.

ამის გამო ჩვენ თითქო ორ სკამშუა დამჯდარ კაცსავით დავრჩით: ძველი ცხოვრების წესები, ძველი ხასიათები არ გამოგვადგა, ახალს ვერ შევეჩვიენით.

აი სწორეთ ამ დროს დაიბადნენ ჩვენს ქვეყანაში უცხო ქვეყნელები, აზრუმის და ვანის მეზობლები გვესტუმრნენ და, რადგან იმათ ვაჭრობა და უცხო ხასიათების შეთვისება უფრო მოეხსენებოდათ, ერთითაცა და მეორეთაც ისარგებლეს და ნელ-ნელა გამრავლდნენ, გამდიდრდნენ ჩვენში, მოითბეს ხელი ჩვენში და ჩვენთვის დანთებულ ცეცხლზედ და ჩვენ კი, ჩვენს ქვეყანაში თითქო განზე დავრჩით.

როგორ, რა გზით უნდა გამოვიდეთ ამ დგომარეობიდგან, რა გვიხსნის და როგორ შეიძლება ჩვენ ჩვენი ქვეყანა დავიბრუნოთ და დავიბრუნოთ ის ადგილი, რომელიც სამართლით გვეკუთვნის ჩვენს დედა-ქალაქში — ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ...

## ახალი ამბები.

გამოჩენილი პროფესსორი ბერლინის უნივერსიტეტისა ვირხოვი ამ ჟამად აბხაზეთში იმყოფება ანტროპოლოგიურ გამოკვლევისათვის და იქიდამ პირ-და-პირ ბერლინში მიდის.

***

მეორე წევრი გათავებულს არხეოლოგიურ კრებისა ჩვენი პატივცემული პროფესორი დ. ი. ჩუბინაშვილი ქუთაისში მიდის რამდენიმე დღით, საიდამაც პეტერბურღში დაბრუნდება.

***

ვერის ქართველები და რუსები სჩივიან ქალაქის გამგეობაზედ, რომ სასაფლაო დაგვიკეტესო და ამის გამო ერთობ შეწუხებული ვართო, რადგან ავლაბარში და ყაზარმებს იქით სასაფლაოზედ მიცვალებულის გასვენება ერთობ ძნელია ჩვენთვისაო. ამასთანავე ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოებაო, რომ ჩვენთვის კი არის დაკეტილი ვერაზე სასაფლაო, მაგრამ სომხებს კი ისევ დაუტოვეს აქ თავიანთი სასაფლაოვო.

***

ბაქოდამ იწერებიან, რომ ჩიქიშლიარიდამ ყიზილ-არვატამდინ რკინის გზა უკვე გაყვანილია და მატარებელი დაიარებაო. ყიზილ-არვატიდამ ბამამდინ კი საცხენო რკინის გზას გაიყვანებენ და აქედამ ასხაბამამდინ, სადაც ჩვენი ჯარების უმთავრესი ბანაკია ახლა, გზა-ტკეცილი იქნება 180 ვერსის მანძილზე.

***

ტელეგრაფის დეპარტამენტი აცხადებს, რომ თეკლათში (ახალ-სენაკსა და ჭალადიდს შუა) ტელეგრაფის სტანცია დაიხურება.

***

გუშინ, დილის 7 საათზე, მიხაილის ქუჩაზე, ჩამოიქცა ერთი კედელი პუპერსკის სახლისა, № 52. ამ სახლში გამართულია ი. გერმანის მაღაზია და შიგ მყოფ მოსამსახურეებმა დროით გამოასწრეს ბანის ჩამოწოლას. მიზეზი ის იყო, რომ გვერდით ერთი სახლი დაანგრიეს და კედლს ბოძები არ გაუკეთეს. ძიდევ კარგი უბედურება არა მოხდა-რა, თორემ რას იტყოდა ამაზე ჩვენი ქალაქის გამგეობა?

***

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ იქაურ საქალებო გიმნაზიაში, ქართულ ენის სწავლების წარმატებისათვის, ადრინდელი მასწავლებელი ამ ენისა მღვდელი მ. ლომთაძე გამოცვალეს და მის მაგივრად დანიშნეს ბატ. ალ. აკოფაშვილიო. ახალმა მასწავლებელმა გულ-მოდგინეთ მოჰკიდა თავის საქმეს ხელიო, მაგრამ ადრინდელ მასწავლებლის უხეირობის წყალობით, შაგირდებმა ისე ცოტა იციან ქართული ენაო, რომ ერთობ ბევრი მეცადინეობა დასჭირდება, რომ სწავლის შესრულებამდინ ცოტა რამე მაინც ასწავლოს საშობლო ენიდამ თავის შავირდებსაო.

***

ამ უკანასკნელს დროს, თბილისში ერთს ქართველს მოუპოვებია რამდენიმე გუჯარ-სიგელები, რომლებიდგანაც ცხადად მტკიცდება შემდეგი ამბავი საქართველოს კათალიკოზ ანტონ პირველზე.

ანტონ კათოლიკოზი რუსეთიდგან რომ საქართველოში დაბრუნებულა, ამ დაბრუნების შემდეგ იმას უწირამს მცხეთის სობოროში თოთხმეტი მიტროპოლიტ-ეპისკოპოზებითა და შუა წირვის დროს, როდესაც ბარძიმი გამოუსვენებია, დაუწყვია ფიცი და აღთქმა, რომ ნუ ხართ ჩემზე ეჭვით მაყურებელნიო. ნუ გწამებთ, რომ ვითომც მე მსურდეს, საქართველო რომის ეკკლესიას შევძინოვო და სხვა და სხვა. ჩემი მეცადინეობა და კავშირი რომთან მხოლოდ საქართველოს ერის ბედნიერების გაუმჯობესობას შეეხება და არა სხვა რაიმე სარწმუნოებრივ საქმეებსაო.

ამავე დოკუმენტებთან არის რამდენიმე შესანიშნავი წერილები, რომლებშიაც აღწერილია ზაქარია გაბაშვილის მტერობა ანტონ კათალიკოზისა, რუსეთის სინოდში დაბეზღება, რომ ანტონი საქართველოს აფრანგებსო; სხვა-და-სხვა ეპისკოპოზების საჩივრები ანტონზე, ანტონის შეჩვენება, ზაქარია მღვდლის განკვეთისა და მღვდელობიდგან გაგდების ამბავი, ანტონის სიკვდილი, ერეკლე მეფისაგან მოწერილი წერილები ანტონთან, რომ „მე უშენოთ ვერ გავძლებო,“ და-სხვა-და-სხვა.

ვეფხის ტყაოსნის რედაქცია, რომელმაც ზაფხულში შესწყვიტა დაბეჭდილი ვეფხის-ტყაოსნის ვარიანტებთან შესწორება, გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ პირველი სხდომა რედაქციისა იქნება მომავალ სამშაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს შვიდ საათზე, თბილისის საადგილ-მამულო ბანკში.

სხდომას დაესწრებიან ამ ჟამად თბილისში მყოფნი: დ. ი. ჩუბინაშვილი და ა. ა. ცაგარელი.

---

ამხანაგური მეგობრობა განვაახლეთ დიდის სიამოვნებით: ნიკოლოოზს სიკვდილამდისინ ჰქონდა შეუცვლელი მეგობრული კავშირი თავის ამხანაგებთან, იმათ შორის ჩემთანაც.

იმ დროს თბილისში არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არა გვქონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები.

ჩვენი დროს-გატარება იყო ან ერთათ სადილი, ან ერთათ საღამოზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზდა ამხანაგები ხან ნიკოლოოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლევან ივანეს-ძეს მელიქოვთან, ხან სადილათ ბარეთუბნის ბაღებში. ჩვენი დროს-გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვა-და-სხვა ჩვენს გარემოებაზედ.... ქართული დარბაისლური მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა, ვისაც სურდა, ქაღალდს თამაშობდა, ნარდს, ჭანდრაკს. ქაღალდის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერმე მეგობრული ვახშამი და ვახშამს შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც: (მაშინ მთელი თბილისი შემორტყმული იყო ბაღებითა, მთელი სოლოლაკის უბანი ბაღები იყო).

ხშირად გვქონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ: ერთს საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგან არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ V-ის საუკუნიდგან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა; პლატონ იოსელიანს მიანდვეს დაწერა ძველის საუკუნოების ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ V-ს საუკუნემდისინ. მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის აღსრულება, რადგანაც მშრომელნიც ცოტანი ვიყავით და საქართველოს ისტორიის მატიანები დაფანტული იყო, არ იყო ჯერ შეკრებილი არც ძველი საეკკლესიო გუჯრები, არც ბევრი საინტერესო გრამატები თავადების და აზნაურების სახლებში, მარტო მატიანეთ იყო „ქართლის ცხოვრება“.

მახსოვს ერთს ივლისის ღამეს, 1838 წელს, მე და ტატო წავედით სასეირნოდ ბარეთუბანს (ეხლანდელი გოლოვინის პროსპექტი). ტატო ძალიან მხიარულად იყო და თავისებურად მშვენიერათ ხუმრობდა; მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ და ტრაგიკულს დასასრულზედ 18-ის საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო უღონობაზედ, ჩვენის თბილისის წახდენაზედ 1795 წელსა 12 სეკტემბერს და სხვ.......

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოოზს ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელ-სახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

— ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა!

და ოხვრით დაუმატა:

— ვაი ჩვენო ქართლის ბედო!

დიდ-ხანს დავდიოდით თავ-ჩაღუნული და მოწყენილი.....

ნიკოლოოზ ბარათაშვილმა ადრე დაიწყო წერა ლექსებისა. ზოგიერთი ლექსები დაწერილია მაშინ, როდესაც სასწავლებელში იყო. ბევრი იმისი დაწერილი ლექსები დაკარგული არიან, რადგან დაბეჭდა იმათი მაშინ არ შეიძლებოდა.

მე მახსოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთან წაუკითხავს — „ივერიელნი“. ამ პოემაში იყო აღწერილი ჩვენი აჰყვავებული ცხოვრება 10, 11 და 12-ის საუკუნოებისა. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა, რომელნიც ისეც მშვენიერი იყო.

ყმაწვილობაში სწერდა ხშირად სიყვარულზედ, მიჯნურობაზედ და ქალებზედ — ასრე დაუწყვიათ ყოველივე დიდ პოეტებსაც, როცა ყმაწვილნი ყოფილან.

1839 წელს გამოვიდა სულ სხვა მიდრეკილებით პოემა — „ბედი ქართლისა“, რომელმანც უკვდავი გახადა ნიკოლოოზ ბარათაშვილი. ეს პოემა, რომელშიაც არიან გამოხატულნი მეფე ერეკლე, იმისი მრჩეველი ბრძენი

## „დროების“ კორესპონდენცია

—

**სიღნაღი**, 1 ღვინობისთვეს. ენკენისთვის 23-ში მომიხდა წასვლა სიღნაღიდამ სოფელ ველისციხეს. დღე იყო მშვენიერი, შუა დღის გაჭახჭახებული მზე თავის მხიარულ სახითა ზეციდამ დასცქეროდა ქვეყნიერობას. ტროიკა მისრიალებდა დაგრეხილ სუფთა შარა გზაზე; გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს არხები ამოწმენდილი იყო.

ს. ანაგამდიდან ბაკურციხის სტანციამდინ გზის გარშემო ვენახების ვაზები სრულიად დანაცრულია; ყურძნის მტევნები შამწვარა, ბევრს ალაგას კიდევ სეტყვისაგან სრულიად გაფუჭებულია ასე, რომ მაყურებელებზე რაღაც სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენს.

ერთი საათის შემდეგ მივედით ბაკურციხის სტანციაში, იქ დაგვიხვდა ჩვენი ძველებური ნაცნობი სტაროსტა, მიველით პადაროჟნა; ვიცოდი ამის გულ-კეთილი ხასიათი, რომ მრავალ ჯერ დილით მოსულ მგზავსებსა ღამეს ათევინებდა, ამისა გამო ვთხოვეთ რომ ჩქარა გაგვისტუმროს; ჯერ უარზე შედგა, მაგრამ რაკი შაგვატყო, რომ ვაპირობდით ჩივილსა რევიზორთან—ბატ. ბეზირგანოვთან, რომელიც იმ ჟამათ იქ სტანციაში იპოებოდა, ამის გამო „აბრატნით“ გაგვისტუმრა.

ბაკურციხის სტანციიდამ დამგვზავრდით ველისციხისაკენ. წინათვე ვიცოდით, რომ ველისციხის წინა ხევი, რომელსაც ჭერემის ხევს ეძახიან, წინა დღის დიდ წვიმებისაგან ჩახრამული იქნებოდა და ტროიკით გასვლა ძნელი იქნებოდა, ამის გამო დავაპირეთ ფეხით გავლა; მაგრამ იამშჩიკმა შეგვაგულიანა და ისევ ტროიკით გაველით მშვიდობიანად; ბოლოს გავიგეთ, რომ ველისციხის ახალ მამასახლისის მეცადინეობით ყოფილიყო ეს გზა გაკეთებული: ავდრიან დღეების შემდეგ, სადაც ჩახრამული ალაგები ყოფილიყო, სრულიად ემოვსებინა და გზა გაესწორებინა ველისციხემდინ.

როგორც პატიოსან ველისციხის კაცებისაგან გავიგე ამ ზემოსენებულ მამასახლისს მიხეილ ქალანთაროვს თავის განწესების დღიდამ, ამ მოკლე ხანში, ბევრი კეთილი და სასარგებლო საქმე გაუკეთებია სოფლისათვის, რომლისთვისაც მცხოვრებლები მადლობელნი არიან.

პირველ შივე, რომ ჯერ მამასახლისათაც არა ყოფილა, იმას დაულევიძებია ხალხი, რომ საჭიროაო სოფლის ყოველივე ქუჩები გაკეთდესო, და მართლაც აუსრულებით: ეხლა ყოველივე ქუჩების გზები მშვენიერად ხვინჭით დაფენილი არის მთელ სოფელში.

შემდეგ მამასალისობაში, გაუკეთებია ქუჩებისათვის გასანათებელი ფარნები; ამ ჟამათ მზათ არის 30 ფარანი, რასაკვირველია, სოფლის ხარჯით.

არ აძლევს ნებას, რომ ავათმყოფი საკლავი დახოცონ სოფელში: ამ მოკლე ხანში ერთი მთელი დაკლული ავათმყოფი ძროხა დაემარხვინებინა მიწაში.

მომატებული წილი ღამე გათენებამდინ დაიარება თავის გზირებით სოფელში, რომ სადაც უწესოება ნახოს, გადაახდევინოს.

ერთის სიტყვით, როგორც მიამბეს, ძრიელ მტკიცედ და სინდისიანად იქცევა თავის სამსახურში. ამას წინად ერთი მთელი სახლობა გადაერჩინა ნიაღვარისაგან შიგ შუა ველისციხეში. ამ წყალ დიდობაში, ერთ ავდრიან ღამეს ჭერების-ხევი ისე ადიდებულა, რომ სოფლის ვენახებზედ გადმოვარდნილა სახლებისაკენ; ამ დროს მამასახლისი რომ ნახავს ამ უბედურებას, საჩქაროდ დაალევიძებს მთელ სოფელსა და გადაარჩენს ერთ გლეხ კაცის სახლობას ყმაწვილებით სავსეს. ამ გვარი საქმისათვის მართლაც რომ მადლობის ღირსია ბ. ქალანთაროვი.

სიღნაღელი.

---

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი**, მინისტრების რჩევაში დიდი უთანხმოებაა ამ ჟამად მომავალი მოქმედების პროგრამის შედგენის გამო; ამიტომაც, მოსალოდნელია, რომ პალატის შეკრებამდინ მოხდეს ცვლილება სამინისტროში. გამბეტა ჰფიქრობს, თუ კი ამას პირველი მინისტრობა ერგო, უცხო ქვეყნების საქმეთა გამგეობა თვითონ იკისროს; მაგრამ, თუ საჭიროება მოითხოვს შინაგან საქმეთა გამგეობითაც დაკმაყოფილდება. ამასთანავე გამბეტას განზრახვაა, რომ სახალხო განათლების სამინისტრო ჩააბაროს ფერრის, ლეონ სეს ან შერმენს—ფინანსთა სამინისტრო, ფრეისინეს—სამხედრო, სპიულერს—თანაშემწეობა უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრისა და პალატის პრეზიდენტობა—ბრისონს.

—პარიჟში, რივოლის ზალაში, შეიკრიბა დიდ-ძალი საზოგადოება, რომელიც მოიწოდა „შაურიგებელ“ გაზეთებმა. ამათი ყრილობის მიზანი იყო—მოლაპარაკება, თუ როგორ უნდა მისცენ ახლანდელი სამინისტრო სამართალში უკეთურ მოქმედებისათვის. ბევრი სიტყვა წარმოითქვა ამ ყრილობაზედ და სხვათა შორის ერთმა გამბეტას წინაალმდეგ ილაპარაკა. გამბეტა უშლისო ხელს რევოლიუციის მსვლელობაზს. თუნდ რევოლიუციურის საშუალებებით, ოღონდ გამბეტასაგან კი უნდა განვთავისუფლდეთ ჩვენაო. და როდესაც ბურჟუაზიას წინამძღოლი არ ეყოლება, სოციალური რევოლიუციაც მაშინ მოხდებაო. სხდომის დასაწყისში კრებას წაეკითხა ლუიზ მიშელის წერილი, რომელშიაც იწერებოდა შეუძლებლობას სხდომაზედ გამოცხადებისა და მართებლობის ჯეროვანად გაჰკიცხვისა.

— საზოგადოების უკმაყოფილება მმართებლობის მოქმედებაზედ თუნისში თან-და-თან მატულობს. ბრალდებულებათა შორის მმართებლობაზედ არის ფინანსის მხარეც, რომელიც გამოაშკარავებულია როშფორის გაზეთში და ბევრი სხვა შეცდომა სამხედრო და პოლიტიკურის მხრითა. საფრანგეთის მმართებლობამ სულ უბრალოდ და უსაფუძვლოდ დაანგრიან წმინდა სალოცავები ადგილობრივ მცხოვრებთა, სიბრალული არ ჰქონდათ, ისე ქლეტდნენ დატყვევებულთ, სცარცვავდნენ და აოხრებდნენ მშვიდობიან მცხოვრებთაო. ამით გაბრაზებული ხალხი, მთელს თავის ღონეს იკრებს და წინ უდგება მტერსაო.

—

**გერმანია.** ინგლისურ გაზ. „ტაიმსში“ სწერენ ბერლინიდამ, რომ ბერლინის კონგრესის წევრებთან ბაასში თ. ბისმარკი არ მალავდა თავის აზრს ბალკანის ნახევარ-კუნძულის მომავალზედ, რომელიც ეკუთვნის რუსეთს და ავსტრიასო. კორრესპონდენტი ამბობს, რომ თ. ბისმარკი ამ ჟამადაც ამ აზრის არისო.

— ართმა სასტუდენტო გაზეთის რედაკტორმა გაუგზავნა თ. ბისმარკს თავის გაზეთის პირველი ორი ნომერი და თან არწმუნებდა მას, რომ გერმანიის მოსწავლე ახალ-გაზდობა სასოწარკვეთილებაში არისო იმ მტერობით, რომელიც ყოველის მხრით არის კანცლერზე მიმართული და იმ უმადურ პირების მოქმედებით, რომელნიც წინაალმდეგობას უცხადებენ იმასაო. დღეის შემდეგ სტუდენტებს დევიზათ მარტო სიტყვები „იმპერატორისა და იმპერიისათვის“ კი არ ექნებათ, არამედ „კანცლერისათვისაც“.

---

სოლომონ ლეონიძე, ერი ქართლ-კახეთისა და სხვა, თავის მაღალის და ღრმა ჰაზრით, პატრიოტულის გრძნობით და მშვენიერის სტილით, შემდეგ „ვეფხვის-ტყაოსნისა“, შეუდარებელია და უპირველესია აქამდისინ ქართულს ლიტერატურაში.

აგრეთვე პატარა პოემა „მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი“ და სხვა პატარა ლექსები იმავე აზრისა და მიდრეკილებისა არიან, როგორც „ბედი ქართლისა“.

სხვა სულ რომ არაფერი დაეწერა ნიკოლოზ ბარათაშვილს, იმის სადიდებლად საკმაო იყო ერთი პოემა „ბედი ქართლისა“.

თანა-მედროვე ნიკოლოზ ბარათაშვილისა რუსეთში იყო ი. ლერმონტოვი თითქმის ერთის ხნისა. იმათ აქვს მსგავსება პატრიოტულ აღტაცებულ გრძნობაში და ერთი ლტოლვილება, რომ გამოეხატათ პოეზიაში თავიანთი სამშობლოს აწმყო; მაგრამ მაშინ იმისთანა დრო იყო, რომ პატრიოტობა ორგულობათ მიაჩნდათ. ჩემის ჰაზრით პოემა „ბედი ქართლისა“ თუ მაღლა არა დგას ლერმონტოვის ლექსებზედ, არას-დროს არ ჩამოუვა *).

ნიკოლოზ ბარათაშვილი 1844 წელს წავიდა თფილისიდგან ნახჩევანში თანაშემწედ მაზრის უმფროსისა (სადაც დროებითად იყო მაზრის უმფროსათ გაგზავნილი თ. ლევან ივანეს-ძე მელიქოვი). მერმე 1845 წელსა გადაიყვანეს ელიზავეტოპოლში იმავე თანამდებობაში; ეს თანამდებობა ძალიან არ უნდოდა, მაგრამ ამის სახლის გარემოება ისე გამოიცვალა, რომ უნდა მიეღო ეს ადგილი.

მამაა ნიკოლოზისა თბილისში ცხოვრებამ შეიყვანა დიდს ვალებში, შემდეგ კარგის ცხოვრებისა ჩავარდა სიღარიბეში და მოხუცებაში, მამულები ვალში გაეყიდა, ამის გამო ნიკოლოზს, არა თუ შემწეობა ქონდა სახლიდგან, თითონ ეწეოდა სახლსა თავისი მცირე ჯამაგირიდგან.. დაუცხრომელ შრომაში და სამსახურში 1847 წელს ზაფხულში გახდა ავათ ბანჯის ცუდის ციებითა და აგვისტოს 21-ს გარდაიცვალა.

გვამი ნიკოლოზ ბარათაშვილისა არის დამარხული ელიზავეტოპოლში პატარა რუსის ეკკლესიის გალავანში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბუნებით ნიჭიერი, აღიზარდა იმისთანა საზოგადოებაში, რომელსაც დიდი მოქმედება და გავლენა ჰქონდა იმის პოეტიურ მიდრეკილებაზედ. მე მგონია, ყველაზედ მეტი ზედ მოქმედება ჰქონდა იმაზედ ბიძას ჩვენს პოეტს თ. გრიგორ დიმიტრის-ძეს ორბელიანს.

როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი სასწავლებელში იყო, ჩემს დროს იცვამდა ქართულად, როგორც სხვანი იმისი ამხანაგები. მე მახსოვს ნიკოლოზ ჩაცმული ბუზმენტით მორთულ ჩოხაში, დიბის არხალუხით, თავზედ პატარა ქართული ჩაკეცილი ქუდი. ქართულად რომ იტყვიან, კოხტურად ჩაცმული. შემდეგ სამსახურში რუსულად იცვამდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო შუათანა ტანისა, ჩინებული ტანადი, ცოტა პირ-ხმელი, ცოცხალი შავის თვალებით, წაბლის ფერის თმით, სახე საგანგებოთ მიმზიდველი (ქართულად რომ იტყვიან მარილიანი). თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლობა ცხოვრობდა ანჩხატის ქუჩაზედ, ქეითკირის სახლებში, პირ-და-პირ ეხლანდელი ანჩხატის დეკანოზის დიმიტრი მესხიევის სახლისა.

კონსტანტინე მამაცოვი.

29 სეკტემბერს, 1881 წ.
თბილისი.

---

*) მე დასწლოებით ვიცნობდი ლერმონტოვს 1840 წელს მთელი წელიწადი ლაშქარში ერთათ ვიყავით ჩაჩანში. ხშირად მქონია იმასთან დროს-გატარება და ლაპარაკი. 1841 წელს პიატიგორსკში დუელში მოკლა ლორმონტოვი თავის ამხანაგმა მარტინოვმა.

მედ — „იმპერატორისა, კანცლერისა და იმპერიისათვის“. თ. ბისმარკმა მიუგო, რომ ის ვერ დათანხმდება იმაზედ, რომ იმპერატორისა და მისი სახელი ერთათ იყოს მოხსენებული, რადგანაც მისი სახელი, როგორც იმპერატორის მონისა დაამცირებს იმპერატორის სახელს.

— ბაზ. „პროვინციალურ კორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია სტატია სათაურით: „თავადი ბისმარკი — სოციალისტი“. სტატია ამბობს, რომ თ. ბისმარკის მიმართულება სოციალ-დემოკრატიული კი არ არისო, არამედ წმინდა სოციალურიო. სახელმწიფოს და მუშა ხალხის გულისათვის ის ყოველ შემთხვევაში წინ აღუდგება სოციალ-დემოკრატიას. თ. ბისმარკი მუდამ თანაუგრძნობდა ღარიბი ხალხის მოთხოვნილებასაო.

# განცხადებანი


ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

## ჭყონია

ქ. ქუთაისში

მიიღებს სამოქალაქო საქმეებს საწარმოებლად ყველა სასამართლოებში, რომელნიც ეხვემდებარებიან ქუთაისის ოლქის სასამართლოს, და აგრეთვე თფილისის პალატაში. სადგომი აქვს სილაზედ, საკუთარ სახლში. (4—1)

## ექიმი რეიხი

თვალის ტკივილის ავათმყოფობისა, რომელიც ხუთი თვის განმავლობაში არ იღებდა ავათმყოფებს, ხელახლად იწყებს ექიმობას.

მიიღებს ავათმყოფებს დილის 9 საათიდამ 10-მდის მუდამ დღე.

ადრესსი ადრინდელი; არსენალის ქუჩა. სახლი № 17.

სამკურნალოში ღარიბებს უფასოდ მიიღებს. (5—1

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პაპიროსი 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—24)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო

## თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გაცლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. ღ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

## აუქციონი

**17 და 21 ოქტომბერს 1881**

**წ. კავკასიის აქეთა-მხრის პრიკაზში აუქციონით გაისყიდება ოქრო-ვერცხლისა და სხვა მვირფასი ნივთები.** (3—2)

**ნერსესის სომხის სასულიერო სემინარიის პოპეჩიტლების.** კრებაში ამ მიმავალ ოკტომბრის 7-სა და 14-სა იქნება **ტორგი** (უპერეტორშკოთ), იჯარით მისაცემათ სემინარიის მამულისა ქვემო-აღწერილ რიგზედ. ამთვის 7-სა ნერსესის ძველი სემინარიის ქვემო ეტაჟის 32 დუქანი და ახალი სემინარიის ქვემო ეტაჟის 7 ოთახი ოქტომბრის 17-სა ძველი სემინარიის პირდა-პირ ნამყოფი 21 დუქანი, მოჭედულ სამჭედლოებით.

ტორგი იქნება ზემოხსენებულს დღეებში 7 საათზედ შუადღის შემდეგ, განსაკუთრებით ყოველ მამულისთვის.

პირობის ქაღალდის წაკითხვა შეიძლება პოპეჩიტლების კანცელარიაში, ყოველ დღეს, გარდა კვირის და უქმ დღეებისა, დილის 10 საათიდან ვიდრე 12 საათამდინ შუადღისა. (3—3)

ა. შარიბეკოვის

## მაღაზიაში

გალავინის პროსპექტზე. ახლად მიღებულია საუკეთესო სამხლვარ-გარეთის ფაბრიკებისაგან უკანასკნელი ფასონის: მზა ზედა ტანთ საცმელები ქალებისა და ყმაწვილებისა საშემოდგომო და საზამთრო მაგალითათ, ქალებისა **წამოსასხამი**, ვატერპრუფები, პალტოები, დოლმანები, როტონდოები, ჟაკეტკები, ორთავ სქესის ყმაწვილებისათვის პალტოები. ქალებისა და ყმაწვილებისათვის მაუდის საცმელები, პენიუარები და იუბკები აგრეთვე მიღებულია მრავალი საუკეთესო ჩულქები ყოველ გვარისა, ვარშავისა და სამხლვარ გარეთის ფეხსაცმელები ყოველი გვარისა, აგრეთვე გალანტერის საქონლები.

მსურს რო გავაცნო ჩემი მაღაზიის საუკეთესო საქონლები და სიაფე, თფილისელ საზოგადოებას, იმედი მაქვს პატივ-ცემული საზოგადოება თავის წვევას არ მომიშლის.

ყველა ზემოხსენებულ საქონლები ერთობ რიგიან ფასათ ისყიდება.

ა. შარიბეგოვი.

## ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან | |
|---|---|---|---|
| — — 1 მ. | 10 კაპ. | — 1 მ. | 40 კაპ. |
| — — 1 „ | 20 „ | — 1 „ | 60 კაპ. |
| — — 1 „ | 40 „ | — 1 „ | 90 კაპ. |
| — — 1 „ | 60 „ | — 2 „ | 20 კაპ. |
| — — 1 „ | 80 „ | — 2 „ | 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | | — 3 მანეთ. | |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—46)

ინგლისის მაღაზიაში

**თმის აღმ-დგენი**  **მაკ-მას-ტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—56)

## ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რგვულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი გაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—17)

## ისყიდება

ბექანთუბანში კარგი რცხილისა და წიფლის შეშა ნავით ჩამოტანით.

მიმართეთ ნ. ჩხეიძეს. (10—6)

ჩაის მცოდნე, პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში **1** მან. **20** კაპ. და **2** მან. და შეადაროს ჩაის **1 60** კაპ. და **3** მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—43)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუშჩივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას გიარები. (100—30)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

**წითელი ფარანი**, ფასი 15 კ.

**ხატაური** — — — 10 კ.


## ტაქსია

საჭმელ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 16 სექტემბრიდამ 3 ოქტომბრამდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| **გამომცხვარი პური:** ხორბლის ფქვილის: | | | |
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | — |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის | „ | —1 გირ. | 3½ |
| **იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:** | | | |
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4½ |
| **ჯვარის-მამის პური:** | | | |
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის | „ „ | —1 გირ. | 5½ |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 9 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | | |
| პირველი ხარისხის | | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 12 კ. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მესხიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი